საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4184/01
26/04/2022

4184-01-2-202204260947

შპს „ეიჩე რენტალს“
მის: ქ. თბილისი, მცხეთის ქ.№8, ბინა №60

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა №6988 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. თვალივის მიმდებარედ, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- განცხადება წარმოდგენილია სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დგინდება, რომ საწარმო უკვე მოწყობილია. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს განხორციელებული და განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- ზედაპირული წყლის ამოღების წერტილის GPS კოორდინატები (X-486709, Y-4674522) არ ემთხვევა დოკუმენტის ტექსტში მითითებულ ზედაპირული წყლის ობიექტს (მდინარე შარახევი), საიდანაც ხდება წყლის ამოღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს ზედაპირული წყლის ობიეტიდან წყლის ამოღების წერტილის საკითხი;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „ინერტული მასალის რეცხვისას და სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარში სველი წესით მსხვრევისას საჭიროა 50 000-100 000 მ³/წელ წყალი“. დაზუსტებას საჭიროებს, საწარმოო მიზნით ინერტული მასალის რეცხვისას გამოყენებული წყლის რაოდენობა. სკრინინგის განცხადებაში ასევე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ყოველთვიურად აღებული და ჩაშვებული წყლის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. „შარახევი“ მოხსენიებულია როგორც „ჩარახევი“, რაც საჭიროებს კორექტირებას. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ წყლის ობიექტის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია, საიდანაც ხდება საწარმოო მიზნით წყლის ამოღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს

მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე